

## რეგულაციების როლი მდგრადი დაფინანსების ხელშეწყობაში განვითარებად ბაზრებზე. საქართველოს მაგალითი

მალხაზ ძაძუა

ეკონომიკის დოქტორი  
ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი  
[malkhaz.dzadzua@cue.edu.ge](mailto:malkhaz.dzadzua@cue.edu.ge)  
<https://doi.org/10.61950/giu.4.2026.12139>

### აბსტრაქტი

განვითარებადი ბაზრების ფინანსური სისტემები ტრანსფორმაციის მნიშვნელოვან ეტაპზე იმყოფებიან. ეს უმეტესად განპირობებულია მდგრადი განვითარების, ხელოვნური ინტელექტისა და ციფრული ტექნოლოგიების თემების აქტიური ჩართვით საბანკო საქმიანობის დღის წესრიგში, რომელიც მაღალი დონის საინვესტიციო გადაწყვეტილებების, გრძელვადიანი სტრატეგიების განსაზღვრისა და ცვალებადი მარეგულირებელი გარემოს განუყოფელი ნაწილი გახდა.

ნაშრომი მოიცავს კვლევას მდგრადი დაფინანსების კუთხით საქართველოში არსებულ მარეგულირებელ გარემოზე. კვლევაში უმეტესი აქცენტი ეთმობა მდგრადი დაფინანსების ტაქსონომიის განხილვას, რომელიც მოიცავს კონცეპტუალურ საფუძვლებს, გამოყენების მასშტაბებს და განხორციელების თავისებურებებს.

ნაშრომი ძირითადად ეფუძნება რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიას. მონაცემები დამუშავებულია სხვადასხვა მეორადი წყაროებიდან, როგორცაა ეროვნული ბანკის ოფიციალური დოკუმენტები, კომერციული ბანკების ანგარიშები, თემატური სტატიები და ა.შ.

ტაქსონომია მდგრადი დაფინანსების ცენტრალურ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. ის ადგენს კლასიფიკაციის სისტემებს მდგრადი აქტივობების იდენტიფიცირებისთვის. ტაქსონომიები ხელს უწყობენ საინვესტიციო ნაკადების მობილიზებას მდგრადი დაფინანსების მიმართულებით, ამცირებენ ინფორმაციის ასიმეტრიულობას, ასევე რეპუტაციულ რისკებს (ე.წ. „გრინვოშინგი“).

ნაშრომი იკვლევს, თუ როგორ იყენებენ ტაქსონომიას პრაქტიკაში ქართული კომერციული ბანკები, გამოავლენს გამოწვევებს, რომელიც არსებობს ეროვნული რეგულაციების დანერგვის კუთხით და ხაზს უსვამს ტაქსონომიის შემდგომი ინსტიტუციონალიზაციის საჭიროებას.

**საკვანძო სიტყვები:** მდგრადი დაფინანსება, ტაქსონომია, ESG, საბანკო რეგულაციები.

### შესავალი

ფინანსური სისტემები განვითარებად ბაზრებში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის ეტაპზე იმყოფებიან. ეს უმეტესად გამოწვეულია მდგრადი განვითარების, ციფრული ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის თემების აქტიური ჩართვით საბანკო საქმიანობის დღის წესრიგში,

რომელიც მაღალი დონის საინვესტიციო გადაწყვეტილებების, გრძელვადიანი სტრატეგიების განსაზღვრისა და მარეგულირებელი ჩარჩოების განუყოფელი ნაწილი გახდა.

მდგრადი დაფინანსება ფართოდ გავრცელებული ტერმინია და შეიძლება განვმარტოთ, როგორც ფინანსური საქმიანობის ფორმა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი განვითარების ხელშეწყობას. ის მოიცავს გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით (ESG) ელემენტებს, ასევე ეკონომიკურ ასპექტებსა და ფინანსურ რაციონალურობას.

მდგრადი განვითარების პირველი უნივერსალური კონცეფცია წარმოდგენილ იქნა 1987 წელს გაეროს ბრუნტლანდის კომისიის მიერ, რომელმაც მდგრადი განვითარება განმარტა, როგორც „ახლანდელი თაობის საჭიროებების დაკმაყოფილება მომავალი თაობების საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის ზიანის მიყენების გარეშე“ (United Nations 1987, 16).

1990-იანი წლებიდან ბევრმა ორგანიზაციამ ნებაყოფლობით დაიწყო მდგრადი განვითარების საკითხების ინტეგრირება ბიზნეს სტრატეგიებსა და ყოველდღიურ საქმიანობაში. ამით ისინი პოზიციონირებდნენ, როგორც პასუხისმგებლიანი და პოზიტიური გავლენის მქონე კომპანიები და აძლიერებდნენ თავიანთი ბრენდების რეპუტაციას.

2015 წელს გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა ჩამოაყალიბეს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs), როგორც უნივერსალური და სასწრაფო მოწოდება სიღარიბის აღმოსაფხვრელად, პლანეტის დასაცავად, ასევე მშვიდობისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. წევრმა სახელმწიფოებმა განსაზღვრეს სულ 17 გლობალური მიზანი, რომელიც თავის მხრივ მოიცავს 169 ქვემიზანს და ამოცანას. ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ გაატარებდნენ ყველა საჭირო ღონისძიებებს ამ მიზნების 2030 წლამდე მისაღწევად (United Nations, 2026).

2015 წელს ასევე მიღებულ იქნა პარიზის შეთანხმება - იურიდიულად სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც მიზნად ისახავს კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლას და გლობალური დათბობის შემცირებას (ინდუსტრიამდე ღონეზე 2°C-ზე დაბლა).

ამ პერიოდიდან მდგრადი განვითარების საკითხების გათვალისწინება სავალდებულო გახდა ქვეყნების უმეტესობისთვის. დღესდღეობით, განვითარების საკითხებზე ორიენტირებული რეგულაციები კიდევ უფრო მკაცრდება როგორც გლობალურად, ასევე ეროვნულ დონეზე, რაც დამატებით გამოწვევებს ქმნის მრავალი კომპანიისა და ინდუსტრიისთვის.

ამავდროულად, ე.წ. „პორტერის ჰიპოთეზა“ ამტკიცებს, რომ კომპანიებს შეუძლიათ ეკონომიკური სარგებლის მიღება გარემოსდაცვითი რეგულაციებიდან გამომდინარე. პორტერის თეორიის მიხედვით გონივრულად შემუშავებულმა და სწორად მართულმა გარემოსდაცვითმა რეგულაციებმა შეიძლება ხელსაყრელი პირობები შექმნას კომპანიებისთვის, რათა მეტი ინვესტიცია ჩადონ ინოვაციებში და გააუმჯობესონ პროდუქტიულობა (Porter and Linde 1995, 100).

შესაბამისად, სწორმა რეგულაციებმა შეიძლება გამოიწვიოს არა მხოლოდ ეკოლოგიური მაჩვენებლების გაუმჯობესება ზოგადად, არამედ, ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლება და პროდუქტიულობის ზრდაც, რაც დამატებით სარგებელს მოუტანს როგორც საზოგადოებას, ასევე თავად კომპანიებს.

მდგრადი დაფინანსებისკენ მიმართული თანამედროვე რეგულაციები უმთავრესად ფოკუსირებულია გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით (ESG) საკითხებთან დაკავშირებული რისკების ინტეგრირებაზე. ასევე ეფექტური ადგილობრივი ტაქსონომიების შექმნაზე, რათა მეტი საინვესტიციო ნაკადი იქნა მიმართული მდგრადი შედეგების მიღწევისკენ. ეს რეგულაციები ძირითადად მოიცავს მდგრად ტაქსონომიებს, სავალდებულო გამჟღავნებებს, ყოვლისმომცველ ზედამხედველობას და ნახშირბადის ფასწარმოქმნის რეგულირებას.

ტაქსონომიებს ცენტრალური ადგილი უკავია მდგრადი დაფინანსების განვითარებაში. ისინი უზრუნველყოფენ საერთო კლასიფიკაციის სისტემის ჩამოყალიბებას მდგრადი ეკონომიკური აქტივობების იდენტიფიცირებისთვის. ტაქსონომიები ასევე ხელს უწყობენ საინვესტიციო ნაკადების მობილიზებას მდგრადი დაფინანსების მიმართულებით, ამცირებენ როგორც ინფორმაციის ასიმეტრიას, ასევე რეპუტაციულ რისკებს (ე.წ. „გრინვოშინგი“).

ტაქსონომიის გარეშე პასუხისმგებლიან ინვესტორებს გაუჭირდებათ განსაზღვრონ რამდენად რეალურად უწყობს ხელს „მწვანე“ თუ „მდგრადი“ სახელით რეკლამირებული საქმიანობა გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევას და იძლევა თუ არა მათი ინვესტიცია რეალურ დადებით სოციალურ-ეკონომიკურ გავლენას (Dzadzua 2025, 1).

ევროკავშირის მიერ 2020 წელს მიღებული მდგრადი ტაქსონომია ითვლება ერთ-ერთ მოწინავე და ყოვლისმომცველ მარეგულირებელ ჩარჩოდ მსოფლიოში. ის განსაზღვრავს ტექნიკურ კრიტერიუმებს იმ საქმიანობებისთვის, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ევროკავშირის მიერ დადგენილი გარემოსდაცვითი მიზნის მიღწევაში და ამავდროულად არ იწვევენ მნიშვნელოვან ზიანს სხვებისთვის (European Commission, 2024).

ევროკომისიის თანახმად, მდგრადი ფინანსები გულისხმობს ფინანსურ-საინვესტიციო გადაწყვეტილებებში გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების ინტეგრირებას, რაც უზრუნველყოფს მდგრად ეკონომიკურ განვითარებასა და გრძელვადიან ინვესტიციებს მწვანე პროექტებში.

ამავდროულად, სულ უფრო მეტი ქვეყანა ავითარებს საკუთარ ეროვნულ ტაქსონომიას, რომლებიც ხშირად გაცილებით უკეთ ასახავს ადგილობრივ საჭიროებებს და ითვალისწინებს ეროვნულ თუ რეგიონულ გარემოსდაცვით პრიორიტეტებს, ასევე მეტ მოქნილობას ავლენს ადგილობრივ კლიმატის რისკებზე უკეთ რეაგირებისთვის.

საქართველომ, როგორც საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყანამ, რომელსაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკა აქვს რეგიონში (რეალური მშპ-ს ზრდამ 2026 წლის პირველ კვარტალში 9.1%-ს მიაღწია) და რომელიც მჭიდრო ინტეგრაციისკენ ისწრაფვის ევროკავშირისკენ, ჯერ კიდევ 2019 წელს შეიმუშავა მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი, ხოლო 2022 წელს ოფიციალურად მიიღო ეროვნული ტაქსონომია.

ნაშრომში აღწერილია თუ როგორ უწყობს ხელს არსებული მარეგულირებელი გარემო მდგრადი ფინანსების განვითარებას საქართველოში. კვლევაში განსაკუთრებული აქცენტი ეთმობა ეროვნული ტაქსონომიის ეფექტის განხილვას, რომელიც მოიცავს მისი მიღების კონცეპტუალურ საფუძვლებს, გამოყენების მასშტაბებს და განხორციელების თავისებურებებს.

## მეთოდოლოგია

ნაშრომში უმთავრესად გამოყენებულია რაოდენობრივი მეთოდოლოგია. კვლევის შედეგები განისაზღვრა სხვადასხვა ღია წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციისა და მონაცემების დამუშავების შედეგად, როგორცაა მარეგულირებელი დოკუმენტები, ოფიციალური სტატისტიკა, ანგარიშები, საკონფერენციო მოხსენებები, სამეცნიერო ჟურნალები და ა.შ.

მონაცემთა ანალიზისთვის ძირითადად გამოყენებულია საქართველოს კომერციული ბანკებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სტატისტიკა და ანგარიშები

## ძირითადი შედეგები

საქართველოს მდგრადი დაფინანსების დღის წესრიგი ბოლო ათწლეულში ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ძალისხმევით შედეგად. სებ-მა მდგრადი დაფინანსების გზამკვლევი წარადგინა 2019 წელს, ხოლო 2022 წელს ოფიციალურად დაამტკიცა ტაქსონომია.

აღსანიშნავია, რომ საქართველო პირველი ქვეყანაა კავკასიის რეგიონში, რომელმაც შეიმუშავა და დანერგა მდგრადი ფინანსების ეროვნული ტაქსონომია. რაც შეეხება სხვა მეზობელ ქვეყნებს, სომხეთმა 2023 წელს დაიწყო ეროვნული მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა. ხოლო 2025 წლის ოქტომბერში ოფიციალურად მიიღო მწვანე ტაქსონომია. აზერბაიჯანმა 2024 წელს უმასპინძლა COP29 საერთაშორისო ღონისძიებას და დაიწყო ტაქსონომიის გზამკვლევის შემუშავება. თუმცა, მდგრადი ტაქსონომიის რეგულაციები ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია.

საქართველოს ეროვნული ბანკი 2017 წლიდან არის საერთაშორისო მდგრადი საბანკო და საფინანსო ქსელის (SBFN) წევრი, რომელიც წარმოადგენს გლობალური ცოდნის გაზიარების პლატფორმას განვითარებად ბაზრებზე მომუშავე მარეგულირებლებისთვის. აღსანიშნავია, რომ 2024 წელს საქართველომ განიცადა მნიშვნელოვანი პროგრესი და გადავიდა მდგრადი ფინანსების მატრიცის მაღალ „კონსოლიდაციის“ ეტაპზე (პროგრესის მე-5 საფეხური 6-დან), რომელიც ზომავს წევრი ქვეყნების მიღწევებს მდგრადი ფინანსების ხელშეწყობის კუთხით (SBFN 2024, 11).

ამ პროგრესით საქართველო ლიდერის პოზიციას იკავებს კავკასიის, ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთ ევროპის ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანას შორის. ეს ხაზს უსვამს ქვეყანაში სწორად შემუშავებული რეგულაციების არსებობას და ეროვნული ბანკის ძალისხმევას მდგრადი განვითარებისთვის ხელშეწყობის მიმართულებით.

საქართველოს ეროვნული ბანკმა 2019 წელს შეიმუშავა და გამოაქვეყნა მდგრადი დაფინანსების პირველი გზამკვლევი, რომლის მიზანი იყო საიმედო, პროგნოზირებადი და სტაბილური მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა და სექტორის მომზადება შემდგომ საფეხურზე გადასვლისთვის. გზამკვლევმა საფუძველი ჩაუყარა მდგრადი ფინანსების პრაქტიკის სისტემურ დანერგვას სექტორში და ცნობიერების ამაღლებას გარემოსდაცვითი საკითხების კუთხით.

სებ-ის პირველი ფაზის გზამკვლევაში, რომელიც მოიცავდა 2019-2024 წლებს, ნათლად იყო გამოკვეთილი ESG პრინციპების ფინანსური გადაწყვეტილების პროცესში ინტეგრირების საკითხები. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა შესაძლებლობების გაძლიერებაზე და

ცნობიერების ამაღლებაზე, ასევე ნებაყოფლობით გამჟღავნებაზე და საერთაშორისო სტანდარტებთან, როგორიცაა OECD, IFC და EU შესაბამისობის მიღწევაზე (Dzadzua 2025, 4).

პირველი ფაზის წარმატებით განხორციელების შემდეგ, 2025 წლის მარტში, ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა მდგრადი ფინანსების გზამკვლევის მეორე ფაზა (2025-2028), რომლის მიზანია უზრუნველყოს ფინანსური სექტორის სტრატეგიული მხარდაჭერა და მისი წვლილის გაზრდა ეროვნული მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში, ასევე მდგრად და დაბალნახშირბადიან ეკონომიკაზე გადასვლაში.

სებ-ის მეორე ფაზის გზამკვლევაში აქტივობები ორ ჯგუფად არის დაყოფილი: ძირითადი და დამხმარე. მათ შორის განსაზღვრულია: 1) მდგრადი ფინანსური ნაკადები; 2) კლიმატის, ბუნებისა და ESG საკითხების ინტეგრირება და შესაბამისი რისკების მართვა; 3) გამჭვირვალობა, გამჟღავნება, ანგარიშგება და გაზომვა (NBG, 2025).

2022 წელს ეროვნულმა ბანკმა დაამტკიცა დებულება სესხების კლასიფიკაციისა და ანგარიშგების შესახებ მდგრადი ფინანსების ტაქსონომიის შესაბამისად. ახალმა დებულებამ ოფიციალურად განსაზღვრა მწვანე, სოციალური და მდგრადი სესხების კლასიფიკაცია და დაადგინა კომერციული ბანკებისთვის ტაქსონომიასთან შესაბამისი ანგარიშგების მოთხოვნები. ტაქსონომიის დებულება ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვარს (Dzadzua 2024, 22).

საქართველოს მდგრადი ტაქსონომია შედგება მწვანე და სოციალური ტაქსონომიებისგან.

1) **მწვანე ტაქსონომია** განსაზღვრავს იმ აქტივობებს, რომლებიც მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევას და მწვანე ეკონომიკის განვითარებას. ტაქსონომიის მიერ მწვანე სესხი განისაზღვრება, როგორც სესხი, რომელიც ექსკლუზიურად გამოიყენება მხოლოდ აღნიშნულ მწვანე ტაქსონომიაში ჩამოთვლილი ეკონომიკური აქტივობების დასაფინანსებლად.

2) **სოციალური ტაქსონომია** განსაზღვრავს იმ კატეგორიების ჩამონათვალს, რომლებიც მიზნად ისახავს სოციალური მიზნების მიღწევას სამიზნე ჯგუფებისთვის, მათ შორის: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ეკომიგრანტები, იძულებით გადაადგილებული პირები, სოციალურად დაუცველები, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები ადამიანები და ა.შ.

ეროვნული ბანკი მდგრად სესხს განსაზღვრავს, როგორც სესხს, რომელიც ექსკლუზიურად გამოიყენება ისეთი ეკონომიკური საქმიანობის დასაფინანსებლად, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს როგორც მწვანე, ასევე სოციალური ტაქსონომიის მოთხოვნებს.

ამ მხრივ ქართული ტაქსონომია შეიძლება ჩაითვალოს უნიკალურ და ინოვაციურ მოვლენად, ვინაიდან გარემოსდაცვით ფაქტორებთან ერთად ის ასევე მოიცავს სოციალურ ფინანსებს და ამით უკეთ ასახავს ეროვნული განვითარების საჭიროებებს. აღნიშნულით ის განსხვავდება ევროკავშირის ტაქსონომიისგან, რომელიც ძირითადად გარემოსდაცვით მიზნებზეა ორიენტირებული და მხოლოდ ფრაგმენტულად მოიცავს სოციალურ მიზნებს.

სებ-ის ინსტრუქციით, კომერციული ბანკები ვალდებული არიან გამოაქვეყნონ მდგრადი განვითარების ანგარიშები დადგენილი წესისა და ფორმის შესაბამისად. 2022 წლიდან ეროვნული

ბანკი აქვეყნებს მდგრადი ფინანსების ყოველწლიურ ანგარიშს, რომელიც ხაზს უსვამს საქართველოს მიერ მდგრადი მიზნების მიღწევის გზაზე მიღწეულ პროგრესს.

აღსანიშნავია, რომ ვინაიდან ბანკების უმეტესობა საწყის ეტაპზე არ იყო სათანადოდ მომზადებული ტაქსონომიის მოთხოვნების შესასრულებლად, სებ-მა დაუშვა გამონაკლისი და 2024 წლამდე უფლება მისცა ბანკებს მწვანე სესხების კლასიფიკაციისთვის გამოეყენებინათ ორივე დეფინიცია - როგორც მდგრადი ტაქსონომიის შესაბამისად, ასევე ბანკის შიდა კლასიფიკაციით.

2025 წლიდან კი ბანკები ვალდებული არიან მდგრადი განვითარების ანგარიშებში მხოლოდ ტაქსონომიასთან შესაბამისობაში მყოფი მწვანე სესხები ასახონ. საქართველოში მოქმედი ჩვიდმეტი კომერციული ბანკიდან მხოლოდ ცხრამ წარადგინა ტაქსონომიის შესაბამისი მონაცემი 2025 წელს. მიუხედავად იმისა, რომ ეს კომერციული ბანკების საერთო რაოდენობის დაახლოებით ნახევარს შეადგენს, მწვანე ტაქსონომიის დამნერგავი ფინანსური ინსტიტუტების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება (2023 წელს - 5, 2024 წელს - 7, 2025 წელს - 9 ბანკი).

აღნიშნული ცხადყოფს, რომ რამდენიმე მოწინავე ბანკის მიუხედავად, რომლებიც საკმაოდ განვითარებულია ESG რისკების მართვის პრაქტიკის თვალსაზრისით, მცირე და საშუალო ზომის ფინანსური ინსტიტუტების უმეტესობა ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე იმყოფება ამ კუთხით.

რაც შეეხება მდგრადი ფინანსების პორტფელის დინამიკას, 2025 წლის ბოლოსთვის საქართველოს საბანკო სექტორში ტაქსონომიასთან დაკავშირებული მწვანე სესხების საერთო მოცულობამ 1.8 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 50%-ით მეტია 2024 წელთან შედარებით და 4.5-ჯერ მეტია 2022 წელთან შედარებით.

გრაფიკი #1 ასახავს საქართველოს საბანკო სექტორის მწვანე სესხების დინამიკას 2023 წლის დეკემბრიდან 2026 წლის მარტამდე პერიოდში.

#### გრაფიკი #1. მწვანე სესხების პორტფელის სტატისტიკა საქართველოში (2023-2026)



\* წყარო: სებ-ის მწვანე სესხების სტატისტიკა 2026 წლის მარტის მდგომარეობით.

კვლევის ანალიზი აჩვენებს, რომ ამ ეტაპზე ბანკები მხოლოდ ტაქსონომიის „მწვანე“ კომპონენტზე არიან ფოკუსირებული და ტაქსონომიის მეორე ნაწილის - „სოციალური“ სესხების შესახებ მონაცემები ფაქტობრივად არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური ტაქსონომია წარმოადგენს მთლიანი რეგულაციის განუყოფელ ნაწილს და მას გარკვეულ უნიკალურ ხასიათს ანიჭებს, დღეისათვის ის მაინც უფრო ფორმალურ მოთხოვნას წარმოადგენს და ბანკები არ ახდენენ ანგარიშგებას სოციალური მონაცემების შესახებ.

ეროვნულმა ბანკმა 2022 წელს შეიმუშავა ESG რისკების რადარის ანგარიში - ინსტრუმენტი, რომელიც იყენებს ხუთსაფეხურიან შეფასების მეთოდოლოგიას და სექტორულ რუკებს ESG რისკების შესაფასებლად. 2024 წელს სებ-მა ასევე დანერგა კლიმატის სტრეს-ტესტირების ჩარჩო, რომელიც აერთიანებს მრავალ ანალიტიკურ მოდულს კლიმატის რისკების შესაფასებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური სტატისტიკა და ანგარიშები მიუთითებს დადებით დინამიკაზე, ტაქსონომიის დანერგვის კუთხით ასევე შეიძლება აღინიშნოს რიგი გამოწვევები:

- **რეგულაციების შეუსაბამობა** გლობალურ სტანდარტებსა და ადგილობრივ ტაქსონომიას შორის, რომელიც ჯერ კიდევ იძლევა განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას.
- **სკრინინგის შეზღუდულობა.** ევროკავშირისგან განსხვავებით, ქართული ტაქსონომია უფრო ფართო კატეგორიებს იყენებს, რაც ართულებს იდენტიფიცირების ამოცანებს.
- **მწვანე ტრანსფორმაციის მაღალი ხარჯი.** მდგრადი ფინანსები შედარებით ახალი კონცეფციაა და ბევრ ბანკს არა აქვს შესაბამისი მზა ცოდნა, რესურსები და სისტემები.
- **დამატებითი ბიუროკრატია.** ტაქსონომიის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭიროა ახალი სახის მონაცემები, პროცედურები, რესურსები და კომპეტენციები.
- **შესაბამისობის სირთულეები.** ბანკები ვალდებული არიან ტაქსონომიასთან შესაბამისი ანგარიშები წარმოადგინონ ყოველთვიურად, რაც მოითხოვს ახალი ანგარიშის სისტემების შექმნას, IT ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას, მონაცემთა შეგროვების პროცესებსა და პერსონალის გადამზადებაში მეტ ინვესტირებას.
- **შიდა კომპეტენციების ნაკლებობა** მდგრადი დაფინანსების საკითხებში.
- **ვერიფიკაციის სანდოობა.** ამ ეტაპზე არ არსებობს დამოუკიდებელი და სანდო მექანიზმები ვერიფიკაციისთვის. ბანკები თავად ახდენენ სესხების კლასიფიკაციას ტაქსონომიის შესაბამისად, რაც ზრდის მონაცემთა შეუსაბამობის რისკების ალბათობას.
- **მონაცემების ნაკლებობა.** მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები იშვიათად ახდენენ ტაქსონომიით მოთხოვნილი სრული ინფორმაციის წარმოდგენას. შესაბამისად, ბანკებს შესაძლოა მეტი სესხები ჰქონდეთ გაცემული ამ მიმართულებით, მაგრამ მონაცემთა ნაკლებობის გამო, არ შეუძლიათ კლასიფიკაციის მინიჭება ტაქსონომიის შესაბამისად,

## დასკვნები და რეკომენდაციები

მდგრადი განვითარების საკითხებზე ორიენტირებული რეგულაციები სულ უფრო მეტად იზრდება და მკაცრდება როგორც გლობალურად, ასევე ეროვნულ დონეზე. მათ შორის გამოსაყოფია ანგარიშგების მოთხოვნები და გამჟღავნების სტანდარტები, რაც დამატებით გამოწვევებს ქმნის მრავალი კომპანიისა და ინდუსტრიისთვის.

ამავე დროს, სწორმა რეგულაციებმა შეიძლება განაპირობონ როგორც გარემოსდაცვითი მაჩვენებლების გაუმჯობესება, ასევე ეკონომიკური ეფექტის ამაღლება და პროდუქტიულობის ზრდა, რაც დამატებით სარგებელს მოუტანს როგორც საზოგადოებას, ასევე თავად კომპანიებს.

მდგრადი დაფინანსებისკენ მიმართული რეგულაციები უმთავრესად ფოკუსირებულია ESG-რისკების ინტეგრირებაზე, ასევე ეფექტური ადგილობრივი ტაქსონომიების შექმნაზე, რათა მეტი საინვესტიციო ნაკადი იქნა მიმართული მდგრადი შედეგების მიღწევისკენ.

საქართველოს მაგალითზე მდგრადი დაფინანსების ანალიზი ცხადყოფს, რომ ეროვნული ტაქსონომიები შეიძლება განხორციელდეს წარმატებით და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობით. ქართულმა ტაქსონომიამ უკვე იქონია გავლენა ფინანსური სისტემის სანდოობაზე და ქვეყანა მდგრადი ფინანსების რეგიონულ ლიდერად წარმოაჩინა. საქართველო ერთ-ერთია იმ იშვიათ ქვეყნებს შორის, რომელიც მწვანე ტაქსონომიასთან ერთად სოციალურ ტაქსონომიასაც წერგავს ამ მხრივ ინოვაციურია სხვა ტაქსონომიებთან მიმართებაში.

ამასთან, ხაზი უნდა გაესვას რეგულაციების შემდგომი ინსტიტუციონალიზაციის, გზამკვლევის თანმიმდევრული განხორციელებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან მჭიდრო შესაბამისობის აუცილებლობას. ეს გააძლიერებს სანდოობას საბანკო სექტორის მიმართ და მოიზიდავს მეტ პასუხისმგებლიან ინვესტორს, რაც დადებით გავლენას მოახდენს ქვეყნის კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადობისა და ეროვნული განვითარების მიზნების მიღწევაში.

## ბიბლიოგრაფია

1. Bank of Georgia. (2025). Sustainability Report 2025. <https://ramad.bog.ge/s3/BogGroup/Sustainability-Report-2025-From-Strategy-to-Impact-2.pdf>
2. Dzadzua, M. (2024). Building a Sustainable Financial Future: Exploring Georgia's path to green finance. Journal of Development Studies. No.1(5). DOI: 10.52340/jds.2024.05.05.02
3. Dzadzua, M. (2025). Comparative Analysis of Sustainable Finance Taxonomies: Georgia and the European Union. Central University of Europe. DOI: 10.52244/c2025.2
4. European Commission. (2024). Overview of sustainable finance. [https://finance.ec.europa.eu/sustainable-finance/overview-sustainable-finance\\_en](https://finance.ec.europa.eu/sustainable-finance/overview-sustainable-finance_en)
5. EU (2022). Directive 2022/2464 of the European Parliament and of the Council of 14 December 2022 as regards corporate sustainability reporting. Official Journal of the European Union. <https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2022/2464/oj/eng>
6. National Bank of Georgia. (2022). Order № 93/04 Of the Governor of the National Bank of Georgia on Approval of Regulation on Loan Classification and Reporting according to the Sustainable Finance Taxonomy.
7. National Bank of Georgia. (2026). Green Loan Dashboard. <https://reports.nbg.gov.ge/fla77cc6-e0e0-4ce1-b184-238b773e44f2/18616fbc-ad2b-4192-aaad-73717650944e>

8. National Bank of Georgia. (2022). Sustainable Finance Taxonomy for Georgia. <https://nbg.gov.ge/en/page/sustainable-finance-taxonomy>
9. National Bank of Georgia. (2024). Sustainable Finance. <https://nbg.gov.ge/en/page/sustainable-finance>
10. National Bank of Georgia. (2025). Sustainable Finance Roadmap. <https://nbg.gov.ge/en/page/sustainable-finance-roadmap-1>
11. Porter, Michael E., and Claas van der Linde. (1995). Toward a New Conception of the Environment-Competitiveness Relationship." Journal of Economic Perspectives 9 (4): 97–118.
12. SBFN - Sustainable Banking and Finance Network. (2024). Global Progress Brief 2024. <https://www.sbfnetwork.org/global-progress-brief-2024>
13. TBC Bank. (2024). Sustainability Report 2024. <https://www.tbcbankgroup.com/esg/sustainability-reports>
14. United Nations, Department of Economic and Social Affairs. Sustainable Development. <https://sdgs.un.org/goals> (Access date: April 20, 2026).
15. United Nations, Brundtland Commission. (1987) Report of the World Commission on Environment and Development: Our Common Future. <http://www.un-documents.net/our-common-future.pdf>
16. UNEP Finance Initiative. (2024). <https://www.unepfi.org/about/>